ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავისუფლების დროშები აპრილის სისხლზე ამოდის!

სამშობლო, დედის ძუძუ, არ გაიცვლება სხვაზედა..

# ოდიში

1991
ხუთშაბათი
11
აპრილი
№ 43 (10436)
ფასი 5 კაპ.

ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

## გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!

აჰა, აღსრულდა ქართველი კაცის დიდი ხნის ნაოცნებარი. საქართველოს უგვირგვინო მეფის, წმინდანად შერაცხული ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, დადგა ის დრო, როცა „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს". ახლა ყველაფერი ჩვენს გარჯაზე, მამულისადმი ერთგულებაზეა დამოკიდებული. 1991 წლის 9 აპრილი ოქროს ასოებით შევა ქართველი ერის ისტორიაში. დაიწყო ახალი ერა საქართველოს ხალხთა ცხოვრებაში.

რაოდენ სიმბოლური და სათაყვანებელია ეს თარიღი. 1989 წლის 9 აპრილს ჩვენი გოგო-ბიჭების მიერ დაღვრილმა უმანკო სისხლმა სათავე დაუდო იმპერიის კლანჭებისაგან საქართველოს დახსნას. 1991 წლის 9 აპრილს უზენაესი საბჭოს პირველი სესიის საგანგებო სხდომამ საქართველო გამოაცხადა დამოუკიდებელ რესპუბლიკად.

გილოცავთ მეგობრებო!

გაუმარჯოს დამოუკიდებელ, თავისუფალ საქართველოს!

## ერთ მუშტად უნდა შევიკრათ

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა ახალ ისტორიულ ეტაპს უდევს სათავეს ჩვენს ცხოვრებაში. დღეს არ მეგულება ჩემს მამულში ადამიანი ვისაც ეს საოცარი მოვლენა არ აღელვებდეს, შინაგან სიხარულსა და აღმაფრენას არ ანიჭებდეს.

ყველა ჩემს თანამემამულესთან ერთად მივესალმები და ვიწონებ საქართველოს უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებას. ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რომ პარლამენტში გვყავან ჭეშმარიტი მამულიშვილები, რომლებიც მზად არიან ბოლომდე იბრძოლონ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის და ხალხიც გაიყოლიონ.

ვხედავ და ვგრძნობ: გახარებული არიან ჩემი ქალაქის მკვიდრნი. ვულოცავ მათ ერის ამ დიდ გამარჯვებას. ახლა მკლავების წაკაპიწების დროა. ჩვენი ერთსულოვნებით, გარჯა-ღწვით უნდა ავაღორძინოთ ჩვენი ქვეყანა.

ნორა გოგია.

## დიდი ხნის ნატვრა აგვიხდა

ბევრი იწვალა, შეურაცხყოფისა და შევიწროების მრავალი ათწლეული გამოიარა ჩემმა ხალხმა. აღარ აძლევდნენ იმის საშუალებას, რომ თავისი სულიერი და მატერიალური პოტენციალი მაქსიმალურად გამოეყენებინა, თავისივე ინტერესების სამსახურში ჩაეყენებინა. ვფიქრობ მომხდარ ისტორიულ ფაქტზე და გონების თვალს ვავლებ გარდასულ წლებს. რათქმა უნდა ამ ნარ-ეკლიან გზაზე იყო შრომა, წვა-დაგვა. იყო სიხარულისა და ტკივილის განცდაც. იყო მოჩვენებითი კეთილდღეობის აფიშირება და ეგრეთწოდებული გარდამავალი დროშების ფრიალიც. მაგრამ ყველანი ვგრძნობდით, თუ რაოდენ დიდი სიყალბე სუფევდა ყოველივე ამის გვერდით. ვგრძნობდით, რომ გვაკლდა რაღაც მნიშვნელოვანი. და ეს იყო თავისუფლება. ქართველ კაცს ყოველთვის თან სდევდა ფიქრი და ნატვრა დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსზე და აი, ეს ნანატრი დღეც დადგა. ვულოცავ ყველას, ვისაც დღეს გული უჩქროლავს ამ სასწაულებრივად ამაღლებული დღის განცდით.

მჯერა, ქართველი ხალხი მედგრად, საკუთარი ღირსების გრძნობით ივლის წინ ამ ნათელ გზაზე.

ნუგზარ კვარაცხელია,

## ეს დღე ნამდვილი სასწაულია

საოცრად ბედნიერი დღე მოგვივლინა განგებამ. ჩვენმა მრავალტანჯულმა სამშობლომ მიიღო დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებით დაგვირგვინდა ეროვნულ-გამანთავისუფლებელი ბრძოლა, რომელმაც ამ ბოლო პერიოდში არნახულ აღმავლობას მიაღწია. ვინც 9 აპრილს ტელევიზიით უყურა მთავრობის სახლის წინ გამართულ გრანდიოზულ მიტინგს, დარწმუნდებოდა, თუ რა ენით უთქმელი სიხარული დაუფლებია ჩვენს ხალხს. ადამიანებს ცრემლი უბრწყინავდათ თვალებზე, ბედნიერების ცრემლი. ეს იყო ჭეშმარიტი ეროვნული ზეიმი, რომელსაც საუკუნეში მხოლოდ ერთხელ თუ მოუვლენს ხალხს განგება.

ახლა საჭიროა ერთმანეთს გვერდში ამოვუდგეთ, განვამტკიცოთ ჩვენი ერთიანობა. შესანიშნავად თქვა მიტინგზე ბატონმა ზვიად გამსახურდიამ: ახლა გვმართებს ურთიერთმიტევება და ურთიერთგატანა. მჯერა რომ ტოტალიტარული რეჟიმის მარწუხებისაგან თავდახსნილი ქართველობა უფრო შეიყვარებს ერთმანეთს, ერთ მძლავრ მუშტად შეიკვრება და საკუთარი ძალღონით აღორძინებს მამულს.

ლიანა ქარჩავა,

## ფართო სარბიელი-ახლებურ აზროვნებას!

ათასნაირი დეფიციტით შეჭირვებული დრო დაგვიდგა. ასეთ პირობებში მიანიშნო იმაზე, რომ ძველი, ავტორიტარული მეთოდებით საქმიანობის გაძღოლა შეუძლებელია, ნიშნავს არაფერი არ თქვა. ახლა ყოველი ჩვენგანის ყურადღება სახალხო მეურნეობის ნებისმიერ უბანზე შექმნილი კრიზისული მდგომარეობიდან თავის დაღწევის ოპტიმალური გზების გამოძებნაზე უნდა იყოს აქცენტირებული. ეწვიეთ ნებისმიერ საწარმოს, თუ ორგანიზაციას და თვალნათლივ დარწმუნდებით მათ ყოველდღიურ გასაჭირში. მოსუსტებული, ან უარეს შემთხვევაში დარღვეულია სამეურნეო კავშირები. ფაქტიურად დღითი დღე ეცლება ფეხქვეშ საფუძველი ძველებურ ვერტიკალურ გარიგებებს. ცენტრალიზებული დაგეგმვის მექანიზმიც თანდათან თავის ფუნქციას კარგავს. ამ გასაგებ, კანონზომიერ პროცესს ბუნებრივია, თან მოსდევს უამრავი ობიექტური სირთულე, საწარმოო და ეკონომიკური ბერკეტების უმოქმედობა. ასეთ ვითარებაში წარმოების ერთიანი შინაგანი ციკლის შენარჩუნების ერთადერთი შანსი რჩება: ყურადღება გადატანილ იქნას ჰორიზონტალური სამეურნეო კავშირების გამოძებნაზე, რაც პარტნიორებს შორის საქმიანი თანამშრომლობის დარეგულირების გარანტად გვესახება. ალღოიანი მეურნეები ახერხებენ ურთიერთ სახელშეკრულებო პოლიტიკის ისეთნაირად ფორმირებას, როცა შესაძლებელი ხდება სხვადასხვა წყაროებიდან სათანადო რესურსების მოზიდვა, წარმოების დაგეგმვა საკუთარი თვითმმართველობის პრინციპით, საბაზრო ეკონომიკის ელემენტების გონივრულად გათვალისწინება და ა. შ. ყოველივე ეს, თავის მხრივ მოითხოვს წარმოების შიდა რგოლების, სხვადასხვა ინდივიდების ურთიერთდამოკიდებულების სულ სხვანაირად აგებას, ახალი ნორმატივებისა და კოეფიციენტების გაანგარიშებას. სამეურნეო მართვის პროგრესული მოდელის ფუნქციონირების პირობებში თანდათან უნდა დაიძლიოს ეგრეთწოდებული სოციალისტური მეურნეობრიობის დოგმები, გათანაბრების, სამუშაოსაგან მუშაკის გაუცხოების, არაკონკურენტუნარიანი საქონლის მასიურად წარმოების ტენდენცია.

სამეურნეო ანგარიშისა და თვითმმართველობის დამკვიდრების ამ მტკივნეულ ეტაპზე, როცა სამსახურების და ცალკეული ეკონომიკის მართვის სადავეები კერძო, ჯგუფური და კოლექტიური მესაკუთრეების ხელში უნდა გადავიდეს, გადამწყვეტი მნიშვნელობა ახლებურ აზროვნებას, მეურნულ ალღოს და გაბედულებას ენიჭება. სწორედ ამან უნდა მოუმზადოს საფუძველი პრივატიზაციას. ამ მიმართულებით კი გარკვეული ძვრებია ჩვენს მოწინავე საწარმოებში: საწარმოო გაერთიანება „საქქაღალდმრეწვში", ფაიფურის ქარხანაში, ჩაის ექსპერიმენტალურ ფაბრიკაში, მანქანათმშენებელ და ზოგიერთ სხვა საწარმოში. ჯერ ერთი, აქ თვისობრივად ახალ დონეზე აყავთ საანალიზო მუშაობა, წარმოების წიაღში მთვლემარე შიდა რეზერვების მოძიება, კონტროლის უმკაცრესი სისტემა ნედლეულზე, სხვადასხვა მასალებზე და ა. შ. რაც ყველაზე მთავარია, ფხიზლად უთვალთვალებენ და ქმედითი, მასტიმულირებელი ბერკეტებით არეგულირებენ კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვების უწყვეტ ციკლს, ცდილობენ ბაზრის მიზიდვას. სწორედ ასეთი ორგანიზატორების ძალისხმევით უნდა მოიმაგროს ხერხემალი ეროვნულმა ეკონომიკამ. ეს ის გზაა, რომელმაც უნდა შეგვაძლებინოს სახალხო მოხმარების იმ ასორტიმენტის საქონლის წარმოება, რაც ზუგდიდელებს სჭირდებათ. ამასთან უნდა მოხდეს რეგიონის შემდგომი განვითარებისათვის ადგილობრივი მყარი ფონდის ფორმირება.

დღევანდელობას, ძიებისა და მიგნების ამ საოცარ დროს აქვს ერთი თვალში საცემი და შეუვალი ნიშანი: მკაფიოდ წარმოაჩენს არსებულ სიძნელეებთან გულით შეჭიდებულ ნოვატორ მეურნეებს. ადამიანებს, რომლებიც წარმოების სამართავ პულტთან გულდაჯერებით დგანან და მშობლიური ქალაქის დაწინაურების ჟინით ანთებულნი ხორცს ასხამენ ხვალინდელი საქართველოს ეკონომიკას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თვალსაზრისი

# გავუფრთხილდეთ მანდილის ღირსებას

ამას წინათ გაზეთში წერილი გამოვაქვეყნე. იმ პუბლიკაციით თუ ვინმეს „შეშინება" მქონდა განზრახული—ეს მკითხველმა განსაჯოს. ვწერდი კი შემდეგს: „საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლით; „მოქალაქეთა პირადი ქონების განზრახ განადგურება ან დაზიანება, რამაც დაზარალებულს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა, ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან საზოგადოებრივი გაკიცხვით.

იგივე ქმედება, თუ იგი ჩადენილია ცეცხლის წაკიდებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით, ან თუ მას მოჰყვა ადამიანთა უბედური შემთხვევა ან სხვა მძიმე შედეგი, აგრეთვე ვენახის, ციტრუსოვანთა, დაფნის, ხილ-კენკროვან და სხვა ნარგავთა დიდი ოდენობით განადგურება ან დაზიანება, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ერთიდან 8 წლამდე".

სადღეისოდ აქტუალურ თემაზე წერილის გამოქვეყნებისათვის ჩემთვის არავის გამოუცხადებია მადლობა და არც იმ წერილით შეშინებული მინახავს ვინმე ისეთი, რომელსაც შემდგომ განზრახ დანაშაულის ჩადენაზე აეღო ხელი. დანაშაული კი, სტატისტიკით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენს ქალაქსა და რაიონში ყოველდღიურად არითმეტიკული პროგრესიით იზრდება. რატომ?—ისმება კითხვა..

ჩემი აზრით, ადმინისტრაციული ორგანოები ბოლომდე ვერ ვასრულებთ კანონით მინიჭებულ უფლებებსა და მოვალეობებს. ძველ დროში, ქართველი ქალი მანდილის მეშვეობით აშოშმინებდა და შეარიგებდა ხოლმე მოსისხლე მტრებს, ქალი სიკეთისა და სათნოების სიმბოლოდ ითვლებოდა, დღეს კი ზოგიერთი მოუხელთებელ შურისმაძიებლადაც გვევლინება. სამწუხაროდ არის შემთხვევები, როცა ქალი ავტომატის ჯერით ცხრილავს ოჯახებს, ბენზინით ცეცხლს უკიდებს ევემიტანილის სახლ-კარს, რიგ შემთხვევაში „მტრის" ნათესავის სახლსაც მიაყოლებს—იქნებ რამე ნივთი გადატანილი იყოს იმ ოჯახში..

ამ დროს წინასწარ რამდენიმე საათით თუ დღით გაფრთხილებული უბნის რწმუნებული, წესრიგის დამცავი სხვა მუშაკები ზუსტად მაშინ გამოჩნდებიან მოხახვევში, როცა დამნაშავე ქალთა შემადგენლობის მომსახურე ხოლო ავტომანქანა ამავე ქუჩის მეორე მოსახვევს რომ მიეფარება.

შემდეგ ე. წ. დაზარალებული ანუ ბრალდებული ყოველგვარი ხერხით, მოწმეთა დაშინებით შანტაჟით თუ მოსყიდვით ცდილობს დაარწმუნოს გამომძიებელი: რომ მისი შვილი, რომელიც იჯდა ავტომანქანის უკანა სავარძელში, თურმე ნუ იტყვით, ავტომანქანის მძღოლმა და მის გვერდით მჯდომმა ხეს შეაჯახეს იმ მიზნით, რომ ავტომანქანის უკანა სავარძელში მჯდომი მისი შვილი მოეკლათ..

გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულზე, გარდაცვლილის დედა ამტკიცებდა, რომ ცეცხლსასროლი იარაღიდან მის შვილს განზრახ ესროლეს, მხოლოდ გზაში ტყვია ჯერ შემთხვევით შაშვს მოხვდა და შემდეგ მის შვილს.. კომენტარებისაგან თავს ვიკავებ

მამაკაცებო! რატომ აძლევთ უფლებას თქვენს მეუღლეებს დედებსა და დებს ყირამალა გადადიოდნენ სასამართლო პროცესებზე, ენით გამოუთქმელი და უწმაწური სიტყვებით „ამკობდნენ" ყველას და ყველაფერს? თუ მართლა შური უნდა იძიო და სხვა გზა არა გაქვს, სასჯელის შიშით რატომ ხართ ამოფარებული ქალის ზურგს?! ამას ხომ ლაჩრობა ჰქვია.

ქართველო ქალებო, რატომ უწევთ სპეკულაციას მანდილს? რატომ იყენებთ ბოროტად კანონის ჰუმანურობას? რატომ ხართ დარწმუნებული, რომ თქვენ ამისთვის არ მოგეთხოვებათ სისხლის სამართლებრივი ან მორალური პასუხისმგებლობა მაინც. ცნობისათვის ერთი მინდა მოგახსენოთ: თბილისის ქალთა კოლონიაში ერთდროულად 700-ზე მეტი სხვადასხვა ეროვნების ქალი იხდის სასჯელს უფრო ნაკლებად მნიშვნელოვან დანაშაულზე.

ჩემთვის, სრულებითაც სულ ერთი არ არის, გამოეხმაურება თუ არა ვინმე ჩემს თვალსაზრისს. უკეთუ სანამ განმიკითხავდეთ გთხოვთ, მობრძანდით ნებისმიერ სასამართლო სამხჯავრო პროცესზე და თავად დარწმუნდებით თუ რამდენად შეესაბამება ჩემი გულისწუხილი სინამდვილეს. შემდეგ კი.. შემდეგ ერთად ვებრძოლოთ ცალკეულ ქართველთა მიერ ისევ ქართველების მიმართ ახლად მოგონილ, სრულიად გაუმართლებელ დანაშაულს.

ნ. ჩხვიმიანი,

ზუგდიდის სარაიონთაშორისო პროკურორის თანაშემწე, იუსტიციის მრჩეველი.

# თავისუფლების წყურვილით

საქართველოს დღევანდელ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში უდიდესი ტვირთი აკისრიათ განათლების მუშაკებს, რომელთაც თავისუფალ საქართველოს ღირსეული ცვლა უნდა აღუზარდონ.

საკუთარი ისტორიის ღრმად გათვითცნობიერების მიზნით ჩატარდა ქალაქის მე-18 საშუალო სკოლაში საქველმოქმედო საღამო თემაზე „დიდება იმ ქალს, ვისაც საფლავში დღესაც სცივა უსაქართველოდ", რომელიც გამართა საკონსერვო ქარხნის კლუბში. მოსწავლეებმა თვალსაჩინოდ წარმოადგინეს ნინო კაბადოკიელის, შუშანიკის, ქეთევან წამებულის, თამარ მეფის უკვდავი სახეები. მე-11 კლასის მოსწავლემ მ. შულაიამ განსახიერა ტანჯული დედის სახე, რომელიც დასტირის 9 აპრილს უდანაშაულოდ დაღუპულთა საფლავებს.

საღამოზე შემოსული ნაქველმოქმედო თანხა გადაირიცხება შევარდენთა ლეგიონის ფონდში.

ზ. სახურია,

პედაგოგი.

# ყველა ზუგდიდელის ვალი

ღვთისმშობლის წილხვედრ ქართულ მიწაზე ყველაფერი ხარობს. რა თქმა უნდა, მეტნაკლები სირთულით ალბათ, ადრე ამან განაპირობა ქალაქის ქუჩებში ჭადრის ხის გაშენება, რომელიც ძალიან უბრალოდ ახალმოჭრილი ტოტის მიწაზე ჩასობით ხარობს, მაგრამ არავის უფიქრია რაოდენ საზიანოა ჭადრის ხის ბუსუსები ადამიანის ჯანმრთელობისათვის. ის ხომ ათეული დასახელების სხვადასხვა ალერგიული დაავადების წყაროა, მის კანში დაბუდებულია მორიელიდან დაწყებული ისეთი მწერები, რომლებიც ძალიან საშიშია ადამიანისათვის. თვით ჭადრის ხეები საშინლად დაავადებულია. ამასთან ფოთოლცვენის დაწყებიდან მთელ შემდგომ პერიოდში დიდი რაოდენობით იყრება ფოთოლი ტროტუარზე, ქუჩის გასწვრივ წყალსაწრეტებში, ივსება ბოგირები ფოთლით და წყალს ვერ ატარებს, ამიტომ გადადის მობინადრეთა ეზოებში და სახლების ქვედა სართულები წყლით იტბორება.

შეიძლება ზოგიერთებს ასეთი კითხვაც დაებადოს: ჭადარი თუ ასეთი მავნე მცენარეა, დადიანებმა როგორ მოკიდეს ხელი მის მოშენებასო? მაგრამ მაშინ სულ სხვა დრო იყო. შედარებით დაუსახლებელ ადგილზე აშენებდნენ ჭადარს და მის მავნებლობაზე ნაკლები წარმოდგენა ქონდათ. და ეს რა გასაკვირია რადგან დღესაც ზოგიერთებმა არაფერი იციან მის მავნეობაზე.

დიდი ხანი არ არის რაც ყინული გალღვა და დაიწყეს ჭადრის ხეებს აიხვა მთელ რესპუბლიკაში, განსაკუთრებით მჭიდროდ დასახლებულ უბნებში. ჩვენც სამი წლის წინათ დავინტერესდით, რათა დადებითად გადაწყვეტილიყო ეს საკითხი. მაგრამ საქმისადმი ბიუროკრატიული დამოკიდებულების გამო, მიუხედავად ხალხის ჩრაერთგზის მოთხოვნისა ამ საქმეს მაინც ვერ ეშველა.

სულ ახლახან ზუგდიდის პრეფექტურის და პირადად თამაზ ქორქოლიანის უშუალო ჩარევით ოპერატიულად გადაწყდა დავით აღმაშენებლის ქუჩაზე გაშენებულიყო კაკლის ხეივანი. თანაც დრო არ ითმენდა. ვეგეტაცია უკვე იწყებოდა. მიღებული ორგანიზაციული ზომების შედეგად თითქმის ერთ კვირაში იქნა დარგული 500 ძირამდე 5 წლიანი კაკლის ნერგი მშვიდობის მოედნიდან სოფელ ჭითაწყარის საზღვრამდე, ქუჩის ორივე მხარეზე.

კაკლის ნარგავების გაშენებით კმაყოფილნი არიან ამ ქუჩაზე განლაგებული საწარმო დაწესებულებათა შრომითი კოლექტივები, მოსახლეობა. ბევრ დროს და დავით აღმაშენებლის ქუჩას დაამშვენებს ძვირფასი ნაყოფით დახუნძლული კაკლის ხეები. ამ ქუჩის მოსახლეობამ სურვილი გამოთქვა რათა უკლებლივ გაახაროს ეს ძვირფასი ნარგავები. ბევრმა უკვე ისე შემოკავა რომ იგი დაცული იქნება პირუტყვის მიერ დაზიანებისაგან.

კაკლის ნერგების გაშენების ამ საშვილიშვილო საქმეში ნამდვილად დასაფასებელია ჩაის კომბინატ „ოდიშის" კოლექტივის (დირექტორი ლ. ჯიქია) თანადგომა და დახმარება. სურნელოვანი ქართული ჩაის მკეთებლებმა უზრუნველყვეს მთელ ტერიტორიაზე ნერგებისათვის საჭირო ორმოების ამოღება საკუთარი სახსრებით. დიდ დახმარებას გვპირდებიან ნერგების მოვლა-გახარების საქმეში ქუჩათა კომიტეტის თავმჯდომარეები გ. ქადარია და მ. ნაჭყებია

ასევე გადაწყდა მეორე პრობლემაც. კაკლის ნერგების გახარების შემდეგ შემოდგომაზე უნდა მოიჭრას ჭადრის ხეები. რასაც ამ ქუჩის მოსახლეობა ნამდვილად მიესალმება.

დავით აღმაშენებლის ქუჩაზე კაკლის ხეების გაშენებით ნამდვილად დიდი საქმე გაკეთდა. მაგრამ სამწუხაროდ ზოგიერთმა ჩვენმა თანამოქალაქემ თავისი უკეთურება უკვე გამოავლინა. რამდენიმე ადგილას ნერგი ამოთხარეს და წაიღეს. თუ ყოველდღიური კონტროლი არ დაწესდა და გაპიროვნებულ ნარგავებზე მიმაგრებულ პირთა პასუხისმგებლობა არ ამაღლდა გამორიცხული არ არის რომ მსგავსი ფაქტები კვლავ განმეორდეს.

ზუგდიდის პურპროდუქტების კომბინატის კოლექტივი მზად არის აქტიური მონაწილეობა, მიიღოს ქალაქის კეთილმოწყობის ეროვნული საქმის დადებითად გადაწყვეტაში.

ვ. გულორდავა,

ზუგდიდის პურპროდუქტების კომბინატის დირექტორი.

# კომბინატი პირველ კვარტალში

ზუგდიდის პურ პროდუქტების კომბინატის კოლექტივმა პირველი კვარტალის დავალება ათ სახეში გადამეტებით შეასრულა 6102 ტონა პურის ფქვილის ნაცვლად გამოშვებულია 6345 ტონა ფქვილი, 1715 ტონის მაგიერ 1730 ტონა ქატო.

კომბინატმა სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმას გადააჭარბა 82 ათასი მანეთით.

ხორბალი გამოშვებულია 8522 ტონა, ანუ გეგმიურზე 372 ტონით მეტი. მოგების გეგმამ 414,0 ათასი მანეთის ნაცვლად შეადგინა 429,0 ათასი მანეთი.

რეალიზაციის გეგმამ 2662 ათასი მანეთის მაგივრად მიიღეს 2744 ათას მანეთს, ანუ გეგმიურზე 82 ათასი მანეთით მეტი.

კომბინატი ჩამორჩა მანის ბურღულის გამოშვების საქმეში, ასევე არაა შესრულებული მიწოდების დავალებაც.

კომბინატის კოლექტივი აპრილშიც მუშაობს მთელი დატვირთვით.

მ. ბოგოხია,

საგეგმო განყოფილების გამგე.

## ეს დღეები სოფლად

# 3200 ტონა ჩაისათვის

წარაზენის კოლმეურნეობის მწვანე პლანტაციის ოსტატებმა წელს სამშობლოს პირდებიან 3.200 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლს.

კოლმეურნეობის ცამეტივე ბრიგადა გადავიდა შრომის იჯარულ ფორმაზე. გაფორმდა ხელშეკრულებები მეიჯარესა და მოიჯარეს შორის.

ჩაის მაღალი მოსავლიანობისათვის ბრძოლა ჯერ კიდევ შარშან შემოდგომაზე დაიწყო. 820 ჰექტარ მოსავლიან პლანტაციებში შეტანილია მინერალური სასუქები, გადაბარული და გაფხვიერებულია იგი. ამჟამად დასასრულს უახლოვდება ჩაის პლანტაციების გასხვლა, ეს სამუშაო დარჩენილია 40 ჰექტარამდე ფართობზე.

მეიჯარეები საშუალოდ ჰექტარიდან 9 ტონა ნედლეულის მიღებას ითვალისწინებენ.

* * *

ერთწლიან კულტურებს კოლმეურნეობაში დაეთმობა 160 ჰექტარი.

კოლმეურნეობის მხვნელ-მთესველები მზად არიან თესვის კამპანიის აგროვადებში დაწყება-დამთავრებისათვის,

გააჩნიათ კონდიციური თესლი.

# მზად არიან

კოლხიდაში 93 ჰექტარზე დამთავრდა ნიადაგის პირველი ხვნა ერთწლიანი კულტურებისათვის. წელს სამარცვლე სიმინდი დაითესება 34 ჰექტარზე.

გააჩნიათ კონდიციამდე დაყვანილი თესლი,

ოდიში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეტერანები

# კვლავ შრომის ფერხულში

აპოლონ ისიდორეს ძე შამუგია იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც საკუთარ თავზე გამოსცადეს ამ საუკუნის ჭირ-ვარამი, მაგრამ დღემდე მხნედ არიან, კვლავ კეთილშობილ შრომაში ჰპოვებენ შვებას.

1910 წელს დაბადებულა აპოლონი ცაიშის კახათში ღარიბი გლეხის ოჯახში. მამა ადრე გარდაეცვალა. დედამ გაზარდა ობოლი და-ძმა.

კარგად ახსოვს მოხუცს 1924 წელი, შემდეგში 1937 წლის სიმძიმე, თვითონაც რომ იწვნია.

პედსასწავლებელი დაამთავრა 1927 წელს. 1930 წლიდან მუშაობდა ოქტომბრის სასოფლო საბჭოს ალმასკომის თავმჯდომარედ. დიდი წვლილი მიუძღვის სოფლის ალმშენებლობის საქმეში. შექმნა მისაბაძი ქართული ოჯახი, ეყოლა ქალ-ვაჟი, მაგრამ იმ ავადმოსაგონარ 1937 წელს სხვა ზუგდიდელებთან ერთად რეპრესირებულ იქნა, თითქმის 20 წელი გაატარა შორეულ ციმბირში. რა ტანჯვა-ვაება გამოიარა ამ ხნის მანძილზე.

ბოლოს 1956 წელს, როგორც უდანაშაულო, ვაათავისუფლეს. გაიხარა ოჯახმა, შინ დარჩენილ მეუღლეს ოჯახისთვის უკაცობა არ უგრძნობინებია, შვილებს უმაღლესი დაამთავრებინა.

რეაბილიტირებული კვლავ ჩვეული გულმოდგინებით შეუდგა შრომას კოლმეურნეობაში. უხარია მშობლიური სოფლის წინსვლა-სიკეთე, სოფლის აქტიური კორესპონდენტია და ხშირად წერს ხოლმე გაზეთ „ოდიშში" მშრომელთა სატკივარ-სიხარულზე.

აპოლონი დაჯილდოებულია შრომის ვეტერანის წოდებითა და საპატიო მედლებით, არის სოფლის მეურნეობის არაერთი გამოფენის მონაწილე.

კვლავაც შემართება და ხანგრძლივი სიცოცხლე ამაგდარ ადამიანს!

რ. უგილავა,
პენსიონერი პედაგოგი.

---

# განა ასე ეხმარებიან ღვთისშვილებს?!

ჩვენს რესპუბლიკაში გახსნილია დახმარების მრავალი ფონდი. მათ შორის სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის ინვალიდთა ასოციაციის სამეგრელოს რეგიონალური ფონდიც.

ინვალიდთა აღნიშნულ ორგანიზაციას ევალება იზრუნოს ქალაქსა და რაიონში მცხოვრები ინვალიდების ეკონომიური და სოციალური პირობების გაუმჯობესებისათვის. ასოციაციას ქალაქ ზუგდიდის აგრომრეწვბანკში გახსნილი აქვს ანგარიში №70007.

ქალაქისა და რაიონის წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა თავიდანვე სურვილი გამოთქვეს, რათა დახმარებოდნენ ბუნებით დაჩაგრულ ღვთისშვილებს, მაგრამ უკვე ექვსი თვე გავიდა და არცერთმა მათგანმა არ გამოიჩინა ქველმოქმედება. და განა არსებობს ამ ქვეყნად იმაზე უფრო კეთილი საქმე, ვიდრე შენი, ისედაც დაჩაგრული მოყვასის გამხნევება და ამოდგომა. ცოტაოდენი ყურადღება, დახმარება მათ ხომ სიცოცხლეს გაუხანგრძლივებს, გაუხალისებს.

სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის ინვალიდთა ასოციაციის სამეგრელოს რეგიონალური ორგანიზაციის ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ ზუგდიდელები არ შეირცხვენენ თავს და დახმარების ხელს გაუწვდიან ბუნებისგან დაჩაგრულ, ინვალიდ ადამიანებს.

ზაალ ცხონდია,
სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის ინვალიდთა ასოციაციის სამეგრელოს რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე.

---

მეაბრეშუმეობას— ერთ-ერთ უძველეს ტრადიციულ დარგს, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩვენს ეკონომიკაში. აბრეშუმის მაღალხარისხოვან პარკ-

# როცა ასეთი მაღალი ანაზღაურებაა

ზე დიდი მოთხოვნილებაა, როგორც რესპუბლიკაში, ასევე საზღვარგარეთაც.

გაითვალისწინეს რა მეაბრეშუმეობაში შექმნილი სიძნელეები საქართველოს მინისტრთა საბჭომ და საქართველოს აგროსამრეწველო კომიტეტმა მიიღეს სათანადო დადგენილება ნედლი აბრეშუმის პარკის შესასყიდი ფასების მომატების შესახებ.

საქართველოს მინისტრთა საბჭოს გასული წლის დადგენილებით რესპუბლიკის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის ბრძანებით დამტკიცებულია და ძალაში შევიდა 1991 წლის 1 იანვრიდან ნედლი აბრეშუმის პარკის შესასყიდი ფასები ერთი კილოგრამისათვის: რჩეული—26 მანეთი,— პირველი ხარისხი —25 მანეთი, მეორე ხარისხი—20 მანეთი, მესამე ხარისხი —17 მანეთი, წუნი— 1,40 კაპიკი, ჩხარი— 1,20 კაპიკი, ანაზღაურება გასულ წლებთან შედარებით გადიდებულია ორჯერ და მეტად.

გამომდინარე აქედან, ვიმედოვნებთ, რომ ზუგდიდის რაიონის შრომისმოყვარე მეაბრეშუმეები გულთან ახლოს მიიტანენ აბრეშუმის პარკის წარმოების გადიდების საქმეს, მკვეთრად შეცვლიან დამოკიდებულებას ამ დარგის მიმართ. მაღალ ანაზღაურებას მაღალმწარმოებლური შრომით უნდა უპასუხონ ჩვენმა მეაბრეშუმეებმა.

ზ. მელაძე,
ნათაფ პარკსაშრობის დირექტორი.

---

ხსოვნა

# რამ დააყუჩოს ტკივილი...

ტკივილიანი გაზაფხულები მოგვიმრავლდა. ერთი იმედიანი ღიმილიც დააკლდა ქალაქს, ჩვენს ქუჩას, ნანა ჭანიას იმედიანი ღიმილი... დედა საქართველოს კი ვაჟკაცების მომავალი აღმზრდელი.

ჭეშმარიტად ქრისტიანი იყავი, ღრმად მორწმუნე, ღვთისმოშიში, ბუნებით ჩუმი, მოკრძალებული, ასაკში შესულივით დადინჯებული. გაზაფხულივით ნაზი და სიფრიფანა მხოლოდ 17 გაზაფხულს მოესწარ. რა ნუგეშის სიტყვებს შეუძლია დააყუჩოს შენი მშობლების გაუსაძლისი ტკივილი.

რა უეცრად გაირბინა ბავშვობის წლებმა, მოსწავლეობამ. ქალაქის მე-7 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლის გაგრძელებაზე ოცნებობდი, არ დაგცალდა ოცნების ახდენა.

შენმა უეცარმა სიკვდილმა თავზარი დაგვეცა თანაკლასელებს, მეგობრებს. ძნელად წარმოგვიდგენია შენი ახლადგაფურჩქვნილი სიცოცხლის გვერდით სიკვდილი.

იქნებ ღმერთიც მართლა რჩეულებს ეძებს და ამიტომაც წაგიყვანა თავის სასუფეველში.

საქართველოს თავისუფლებაზე ოცნებობდი, დიდად თან მიგვყვებოდა. ვიზეიმებთ ამ დღეს, მაგრამ ვაი, რომ უშენოდ!

მალხაზ ხურცილავა.

---

წლები გადიან, ძალიან ჩქარა გადიან... ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩიფლულებს ბევრი რამ გვავიწყდება, ბევრი ტკივილი გვიშუშდება, მაგრამ დაუვიწყარია— ის ადამიანები, რომლებიც ჩვენს გვერდით იდგნენ, ჩვენთან ერთად ილწოდნენ— ახალგაზრდა თაობას ზრდიდნენ და აფრთიანებდნენ... რამდენი აუხდენელი ოცნება დარჩათ, რამდენი სითბო და სიყვარული წარიტანეს თან...;

# მოწიწებით ვიგონებთ

ჩვენი ხსოვნიდან ამოუშლელია პედაგოგების: ნინელი ლომაიას, ვალოდია თოდუას, პართენ ბერიშვილის, ლია პავლიაშვილის, ნინა კალანდიას ძვირფასი სახელები. წელს კი მათ სახელებს ავბედითად დათიკო ბუკიას სახელიც შეემატა.

სად არ შეხვდებით მათ აღზრდილებს, მათ შვილებსა და შვილიშვილებს. ცხოვრება თავისი წესითა და დინებით მიდის, ისინი კი აღარ არიან...

ჩვენგან წასულებს ხსოვნის დღეს სანთლებს ვუნთებთ მათ წმინდა სულთა სახსენებლად, ყვავილებით შევამკობთ მათ საფლავებს.

ნარაზენის პირველი საშუალო სკოლის პედაგოგები.

---

პედაგოგის ტრიბუნა

# როგორ ავიცილოთ მორცხვობა?

ამერიკელი ფსიქოლოგი, სტანფორდის უნივერსიტეტის პროფესორი ფილიპე ზიმბარდო წიგნში „მორცხვობა", იძლევა მეტად საინტერესო ექსპერიმენტებს მოზარდებში მორცხვობის თავიდან ასაცილებლად. მისი აზრით, მორცხვობა ხდის ბავშვებსა და გოგონებს დაუნდობელს ერთმანეთისა და თავისთავისადმი, ხელს უშლით იპოვონ მეგობრები, საყვარელი ადამიანები, ხოლო ზოგჯერ კი უბიძგებთ დანაშაულისკენაც.

ყველა ამ უსიამოვნების დაძლევაში დაგვეხმარება ამერიკელი ფსიქოლოგი. ზიმბარდოს წიგნი არ არის აკადემიური ტრაქტატი. ეს არის თავისებური ფსიქოლოგიური თვითმასწავლებელი, რომლითაც შეუძლიათ ისარგებლოს ყველამ, ვისაც სურს დაძლიოს თავისი მორცხვობა, გაიუმჯობესოს კომუნიკაციის ხარისხი.

სიტყვა „მორცხვობა" აღნიშნავს და იტევს სრულიად სხვადასხვა პრობლემებს, პიროვნების მდგომარეობასა და თვისებებს. თითოეული ეს პრობლემა მოითხოვს სპეციფიკურ მიდგომას, ზოგჯერ კი პროფესიონალურ დახმარებას. ზიმბარდოს წიგნის ღირებულება იმაშია, რომ იგი აშუქებს პრობლემას სრულყოფილად. წიგნი გამიზნულია ფართო მკითხველისათვის. შესავალში ავტორი აღნიშნავს, რომ მან ოთხი წლის განმავლობაში ჩაატარა საინტერესო ფსიქოლოგიური გამოკვლევები. მისი მიზანი იყო გაეფართოვებინა წარმოდგენები ადამიანთა საოცარ ასპექტში, მორცხვობის შესახებ. ის, როგორც პედაგოგი და მამა, დიდი ხანი იყო დაინტერესებული ამ პრობლემით. თვითონვე გაეცნიდა, თუ როგორი შემბოჭავი იყო მორცხვობა ბავშვებსა და მოზარდებისათვის, საერთოდ ადამიანებისათვის.

ერთხელ სტენფორდის უნივერსიტეტში დიდი აუდიტორიის წინაშე წაიკითხა ლექცია იმაზე, თუ როგორ მკვეთრად იცვლება ჩვენი აზრები, გრძნობები და ქცევები განსაზღვრული სოციალური სიტუაციის დროს. საილუსტრაციოდ ფსიქოლოგმა აღწერა ახლახან მის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტი მოზარდებთან.

მასწავლებელმა გამოუცხადა ბავშვებს, რომ ახალბედა ბიჭი ჯორჯი ითამაშებს მათთან ნიღბით. თანდათანობით ბიჭი დაუახლოვდა კლასის მოსწავლეებს და ბოლოსდაბოლოს რამდენიმე კვირაში ჩაერთო საერთო თამაშში. ერთი წლის განმავლობაში იზრდებოდა მისი რწმენაც. მეცადინეობის დაწყებისას ჯორჯი იკეთებდა ნიღაბს, ხოლო დამთავრებისას; იხსნიდა, როცა თავის ძმას მიჰყავდა სახლში.

დადგა წლის ბოლოს დიადი დღე: უნდა შემდგარიყო საბავშვო საცირკო წარმოდგენა. ჯორჯი მასწავლებლის დავალებით ცირკის განმკარგულებელი გახდა, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ასე შეეჩვია იგი კლასის კოლექტივს. ახლა მას უკვე აღარ ჭირდებოდა ნიღაბი, ის დაადგა იმ გზას, რომელსაც უნდა მიეყვანა ჯანმრთელი და ბედნიერი ცხოვრებისაკენ. იგი მტკიცედ დაუმეგობრდა კლასის ბავშვებს, ხოლო შემდეგ კი აირჩიეს კლასის აქტივშიც. ამგვარად, ჭადრაკის ნიღაბი დაეხმარა ბავშვს დაეძლია მასში უკიდურესი მორცხვობა.

ამერიკელი ფსიქოლოგის აზრით, მორცხვობა შეიძლება გადაიზარდოს სულიერ ავადმყოფობაში და გახდეს ადამიანისათვის არანაკლებ საშიში, ვიდრე რომელიმე ავადმყოფობა.

ამგვარად მორცხვობა ზიმბარდოს განმარტებით, წელს უშლის ადამიანს, რათა შეხვდეს ახალ მეგობრებს, შეიძინოს მეგობრები და განიცადოს სიამოვნება. მორცხვობა საშუალებას აღარ აძლევს ადამიანს, ნათლად გამოხატოს თავისი აზრები და დაიცვას საკუთარი უფლებები, აღრმავებს გადაჭარბებულ ყურადღებას საკუთარი თავისადმი, ხელს უშლის სხვებს, დადებითად შეაფასონ მისი პიროვნული ღირსებები. უფრო მეტი, მორცხვი ბავშვები და მოზარდები მოკლებული არიან ნათლად აზროვნებას, ნორმალურ, უშუალო ურთიერთობას თანატოლებთან, და ბოლოს, მორცხვობას, როგორც წესი, თან სდევს ნეგატიური განცდები მარტოობისა, უსიამოვნებისა და პიროვნული დეპრესიისა. ნაშრომის პირველი და მეორე თავი მთავრდება იმით, თუ მორცხვობა როგორ წარმოშობს სოციალურ პრობლემებს, თუ როგორაა იგი დაკავშირებული ძალადობასთან, ალკოჰოლიზმთან, განურჩეველ სექსუალურ ურთიერთობებთან და ვანდალიზმთან. აქვე იპოვნის მკითხველი კონსტრუქციულ რჩევებს, რომელიც ხელს შეუწყობს პიროვნების სოციალურ აქტივობას.

ალექსანდრე ღურწკაია.

საკითხის დასმის მიზნით

# გავუფრთხილდეთ კოლხ ქალს

ფრანგი მოგზაური შარდენი წერდა: —ქართველნი ქალნი არიან ტანოვანნი, საკვირველად აგებულნი და წელში განსაკუთრებულად წვრილნი, არიან მახვილი გონებისა, ზრდილნი და თავაზიანნი, ამასთანავე ამაყი და ამპარტავანი...

ქართველ ქალს თავისი სახე და ამპარტავნობა არასოდეს დაუკარგავს, მაგრამ კოლხურ სილამაზეს კი ფერი ეცვალა. ამ საკითხს, ყველა ასპექტში ღრმა ჩახედვა და ანალიზი სჭირდება.

შევეცადე ამეხსნა სოფლის მეურნეობაში ქალთა შრომის დეტალები და თუ რამდენად მართალი ვარ განსჯა მკითხველისათვის მიმინდვია.

ჩაის კულტურამ კოლხელ ქალს სიკეთეზე მეტად ბოროტება მოუტანა. მივყვეთ ანალიზს: ერთი ჰექტარი ჩაის პლანტაცია 6600 გრძივ-მეტრია, ერთ გადაკრეფაზე მეჩაიემ ორჯერ მეტი გზა უნდა გაიაროს, 12-15-ჯერ გადაკრეფისას 8-10 კილომეტრი, ისიც 90 გრადუსით მოხრილმა.

ერთი კილოგრამი ჩაის მოსაკრეფად 3000-3500 დუყი უნდა მოიკრიფოს, ე. ი. ხელით ამდენივე მოძრაობაა საჭირო. ათი ტონის მოკრეფისას 300000 ხელის მოძრაობა უნდა გააკეთოს და ეს ოპერაცია სრულდება 125 დღე. ამ პერიოდში მეჩაიეს მიერ ბუჩქთა შორის ნიადაგი 8-10 სანტიმეტრის სიღრმეზე იტკეპნება.

[illegible] მოშრობა ბუჩქს შორის მთავრდება 11-12 საათისათვის, მეჩაიე კი 9 საათზე შედის საკრეფად. იგი წელისქვევით სველდება 125 დღის განმავლობაში. სეზონში მეჩაიეს ჩაის პლანტაციიდან გამოაქვს 250-375 ლიტრი წყალი. მეჩაიე 30 წლის განმავლობაში კრეფს 300 ტონა ჩაის ფოთოლს, ამისათვის ხელის მოძრაობა ცხრა მილიონჯერ უნდა გააკეთოს. ზურგით უნდა გამოიტანოს 300 ტონა ჩაის ფოთოლი. 200-300 მეტრ მანძილზე. სასწორზე უნდა ჩამოკიდოს და ჩამოიღოს 150 ათასჯერ.

ნორმით 25 კილოგრამი ჩაის კრეფისათვის დღეში მეჩაიე მოხრილია 8 საათი, თვეში 200 საათი, ხუთ თვეში 1000 საათი. 30 წლის განმავლობაში 310000 საათი. ზემოთ ნათქვამს დავუმატოთ ჩაის პლანტაციების გასხვლა, ნიადაგის დამუშავება, სასუქების შეტანა და სხვა, რისთვისაც იხარჯება კოლოსალური ენერგია, რომლის აღდგენის პირობა არავის გააჩნია.

შრომის ასეთ პირობებში მეჩაიე ქართველი ქალის სილამაზის შენარჩუნება რამდენად შეედრება შარდენის ნათქვამს თქვენთვის მიმინდვია.

ფაბრიკებში და ქარხნებში სამუშაო სპეცტანსაცმელი ეძლევათ მუშებს უფასოდ (მას წარმოება გვგმავს შემოსავლიდან), ეძლევათ ცხელი კერძები, რა დააშავეს მეჩაიე ქალებმა (?), მათაც უნდა მიეცეთ უფასოდ საწვიმრები, კალათები, სხვა ინვენტარი და რა თქმა უნდა ცხელი კერძიც კი.

მეჩაიეობის რაიონებში ვერავითარი შრომის ანაზღაურება ვერ გადაწყვეტს დემოგრაფიულ საკითხს, მანამდე სანამ მეჩაიე ქალს, არ შეცვლის მეჩაიე მამაკაცი, ამისათვის გადასაწყვეტია მცირე მექანიზაციის კომპლექსური განვითარება.

რა ტკბილი და რა საამაყოა სიტყვა—დედა, დედა-მიწა, დედა-ბოძი, პატივი ვცეთ და გავუფრთხილდეთ მათ სილამაზეს!

**შ. ჯიბლაძე,**
კორცხელის კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

ავტორის თხოვნით ჰონორარი გადაირიცხება სამაჩაბლოს ფონდში.

## მერი ჩვენი თანაქალაქელია

„ახალგაზრდა ივერიელის" 2 აპრილის ნომრის მეექვსე გვერდზე ალბათ ყველამ წაიკითხა ლია ბექაურის წერილი „სული ერ ტკივილს შეგიმსუბუქებთ", სადაც მოთხრობილია ჩვენი თანაქალაქელის მერი კლანდიას ხვედრზე, რომელიც მოსკოვიდან ესტუმრა საქართველოს ლვთისშვილთა კავშირს (ინვალიდთა ასოციაციას).

აი, რას სწერს ავტორი: ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტი იყო, ხანძარში რომ მოხვდა. მრავალი ოპერაციისა და სამი წლის უმოძრაობის შემდეგ შესძლო ფეხზე დადგომა, მაგრამ, უმუხთლა ბედმა და, ამჯერად ავტოკატასტროფამ მიაჯაჭვა საწოლს. შედეგი მარჯვენა ფეხის ამპუტაცია...

19 უმძიმესი წელიწადი გაატარა ოთხ კედელში. ამაო იყო მეუღლის ცდა—არ ეგრძნო ქალბატონ მერის მარტოობა... ის მაინც მარტო იყო, თუმცა პატარა მაშას (მარიამის) აღზრდა ხშირად ავიწყებდა ყველაფერს...

მაგრამ მოულოდნელად, [illegible] სასიკეთოდ შემობრუნდა... ვალენტინ დიკულინთან საუბრისას გადაწყდა— უნდა ემუშავა, ერბინა, შებრძოლებოდა ავადმყოფობას, ისევ ფეხზე რომ დამდგარიყო. ქალბატონ მერის კი აღარც ახსოვდა თუ როდესმე დადიოდა, თითქოს ეს საშინელი, მძიმე და მოუხერხებელი პროტეზები დაბადებიდან შეხორცებოდა.

1990 წლის 4 ნოემბერს ერთ-ერთი გრანდიოზული საერთაშორისო მარათონი გაიმართა ინვალიდთა შორის, საბჭოთა კავშირის დელეგაციის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წევრი იყო ჩვენი თანამემამულე ქალბატონი მერი კალანდია...

მარათონზე მერი კალანდიამ ყავარჯენზე დაყრდნობით შეძლო 20 კილომეტრის გავლა. მერი მოსკოვის სპორტულ კლუბ „ახილეს ტრეკ კლუბის" წევრია...

## ს. ე. კუტალია

ზუგდიდელ ფინანსისტთა რიგებს გამოაკლდა მისი ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი, შრომის ვეტერანი სერგო ელიზბარის ძე კუტალია.

იგი დაიბადა 1932 წელს ხოფელ აბასთუმანში, საკავშირო საფინანსო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1960 წლიდან შრომითი საქმიანობა დაიწყო ზუგდიდის რაიონის საფინანსო განყოფილებაში სახშემოსავლების ინსპექტორის თანამდებობაზე, 1961 წელს გადაყვანილ იქნა შტატების უფროს ინსპექტორად, ხოლო 1963 წელს დაწინაურებულ იქნა სახელმწიფო დაზღვევის ინსპექციის უფროსის თანამდებობაზე, სადაც მუშაობდა სიცოცხლის უკანასკნელ [illegible] დღემდე. მისი ხელმძღვანელობით ზუგდიდის რაიონის სახდაზღვევის ინსპექციას არაერთგზის მიუღწევია წარმატებისათვის.

ბატონი სერგო იყო კარგი მეოჯახე და გულთბილი მეგობარი, მისი ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში.

**ამხანაგების ჯგუფი.**

**რედაქტორი ბ. ჭანტურია.**

## განცხადებები

კოოპერატივ „მცენარეთა დაცვი"-ს ლიკვიდაციასთან დაკავშირებით როგორც გადარიცხვით, ისე ნაღდ ანგარიშზე იყიდება ტრაქტორები „ტ-40" (გავლილი აქვს 400 საათი), მისაბმელი 4,5 ტონა და შესასხურებელი აპარატი „ოპვ—1200".

მისამართი: ზუგდიდი, რაიაბრეშუმი, თავისუფლების №36.

ბ. ჭაავა.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 1 აპრილის №246 დადგენილების საფუძველზე მიმდინარე წლის 2 აპრილიდან მსუბუქი ტაქსებით მგზავრობის საფასური გაორმაგდა შემდეგნაირად:

1. ჩაჯდომა —40 კაპ.
2. ფასიანი კმ. —40 კაპ.
3. 1 საათით დგომა—4 მანეთი.

სათანადო მრიცხველის უქონლობის გამო დროებით სარგებლობაში იქნება ძველი სისტემის მრიცხველი, რის გამოც მგზავრს მოუხდება მრიცხველის მაჩვენებლის ორმაგად გადახდა.

**ზუგდიდის მსუბუქი ტაქსომოტორების საწარმოს ადმინისტრაცია.**

ზუგდიდის სავაჭრო-საიჯარო ფირმა „მეტყევის" კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება თანამშრომლის

**ვენიკო ვლადიმირის ძე რაფავას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს მის ოჯახს.

გაზეთ „ოდიშის" რედაქციისა და ზუგდიდის სტამბის მუშაკები თანაუგრძნობენ გიორგი ბუკიას მამის

**კლიმენტის**

გარდაცვალების გამო.

მეუღლე ელეონორა კოდუა, შვილები: რუსუდანი, გოდერძი, გოგი. რძლები: მანანა კვირიკაშვილი, ნანი კილასონია სიძე ვალერ უბირია. შვილიშვილები გიორგი, ელიკო. ანა, ლევანი, ვალიდა, ნათია, ლალი, დისშვილი ჯუმბერ ბერიშვილი. ძმის შვილიშვილი საშა ბუკია. გაზრდილი ვალია გვარამია, დეიდაშვილები, ბიძაშვილები და მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**კლიმენტი გაიოზის ძე ბუკია.**

პანაშვიდი 11. 12 აპრილს, დაკრძალვა 13 აპრილს სოფ. პირველ მაისში (ხობის რაიონი).

ზუგდიდის ჩაის საწონი ფაბრიკის კოლექტივი იუწყება დემურ თოდუას სიძის

**გოჩა ჯემალის ძე ზირაქაძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ლამარა ჩიქობავა და ლერი დარასელია თანაუგრძნობენ კოტე სიჯაიას მეუღლის

**ვალია მორგოშიას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ზუგდიდის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის კოლექტივი თანაუგრძნობს ტიხონ ქორთუას დედის

**ჰაჰუ არქანია-ქორთუას**

გარდაცვალების გამო.

შვილები: შალვა, ნოდარ ეგუტიები, რძლები ციური ხელაია, როზა ქითანავა, სიძე ირაკლი ნემსაძე, შვილიშვილები: გურანდა, ბესიკ, მირანდა, ლევანი, მულიშვილები რიმა, აზა, ეთერი, ციალა. შალვა გოშუები, ბიძაშვილები: კოკონა, გონელი, მერი კვარაცხელიები, მზახლები: ნუცა ბართაია, ფაცია, ბონდო ქითანავები იუწყებიან

**ვენერა ევგენის ასულ კვარაცხელია-ეგუტიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 13. 14. 15 აპრილს. დაკრძალვა 16 აპრილს, გამოსვენება 17 საათზე. ქ. ზუგდიდი, სვანეთის ქ. 24-დან.

ზუგდიდის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების მუშაკები თანაუგრძნობენ დემურ თოდუას სიძის

**გოჩა ზირაქაძის**

გარდაცვალების გამო.

ქ. ზუგდიდის №1 სამუსიკო სკოლის პედკოლექტივი და ტექპერსონალი თანაუგრძნობს ოთარ და რაულ ხარებავებს მამის

**კალისტრატე ნისტორის ძე ხარებავას**

გარდაცვალების გამო.

დედა ნორა, მეუღლე მაყვალა. შვილები: ცირა. მაკა, ბელა, ძმა ჯემალი, ძმისშვილები: თეონა, კობა. დავითი, რძალი ზაირა ხუბუა. სიძე მურმან ბიგვავა, დეიდები: ლენა, ტატიანა შელიები. მამიდები: ნუნუ. მავრა. ვენერა, ბიძა პირშკა შელია, ცოლისდები: ციალა. ამალია, ნაზი, ცოლისძმები: გივი. ანზორი, გურამი ხვიჩიები. დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**გიმზერი ლულუნის ძე ქირიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 11, 12 აპრილს. დაკრძალვა 13 აპრილს სოფ. ურთაში.

აბასთუმნის ტუნგის მეურნეობის დირექცია და მუშათა კოლექტივი იუწყებიან

**გურამ ერასტოს ძე ჯაბუას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ზუგდიდის ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის რეგიონალური ორგანიზაცია თანაგრძნობას უცხადებს ამავე კავშირის წევრს ოთარ გაბელიას სიმამრის

**სერგო ელიზბარის ძე კუტალიას**

გარდაცვალების გამო.

დედა სულიკო, მეუღლე ნუცა კუკავა: შვილები: ნანი, გია, და ციალა, ძმა ვალერი, რძალი შურა, სიძე ნიკო კანკია, შვილიშვილები ვასიკო. ნიკა, მზახლები მამანტი და ხათუნა კანკიები იუწყებიან

**ბონდო ჩაქვას ძე ხასიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 11. 12 აპრილს, დაკრძალვა 13 აპრილს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი. მეუნარგიას 49-დან 17 საათზე.

დედა ფორთო, შვილები დევიზი. ზური, ქეთო. ძმა ველოდი. დები: ბანტული, ლოზანა, ლიანა, რძლები: დოდოშა, ნონა, მარინა გაბისონიები. ფირუზ ლუკავა, შვილიშვილები: მაია, მადლენა, მალხაზი, ირაკლი, თემური. თამაზი. რამაზი გაბისონიები, დეიდა ქუშა ქვარაია, მაზლი რადიონ გაბისონია, სიძეები: სერგო ბიგვავა. გივი ქვარცხავა, ელვარდი ყვიჩჩიევი. დისშვილები, ძმისშვილები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მაზლიშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ციალა კაპიტონის ასულ შამუგია-გაბისონიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 12, 13 და 14 აპრილს. დაკრძალვა 16 აპრილს 17 საათზე შამგონაში.

სახელმწიფო სავალდებულო ინსპექციის ქ. ზუგდიდის ზონის თანამშრომლები იუწყებიან

**სერგო ელიზბარის ძე კუტალიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

დედა ნიურა, მეუღლე კოტე, შვილები ეკა, კობა, კახა საჯაიები, და სვეტლანა, დობილი ლამარა ჩიქობავა. ძმა ვახტანგი, სიძე რეზო კვარაცხელია, ბიძები: შალიკო, ამირან მორგოშიები, დისშვილები: ედიშერი, დედიკა კვარაცხელიები, ძმისშვილი ვახტანგი, ბიძაშვილები: ზურაბი, მერაბი, რეზო, ბორისი, ირა ამირი, აზა, მანონი მორგოშიები, მული ვერა ოკუჯავა, მაზლები: ალიოშა, ვახტანგი, გურამი. ჯანიკო საჯაიები. რძლები: მანონი ლემონჯავა. ჰუტა. კლარა. გოგოლა, ქეთო საჯაიები. ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ვალია ორესტის ასული მორგოშია-საჯაია.**

პანაშვიდი 13, 14, 15 აპრილს. დაკრძალვა 16 აპრილს. გამოსვენება 18 საათზე, ქ. ზუგდიდი, გამარჯვების 59.

ნუცა გაბელია შვილებით ნათია, ოთარი, გურამით, რძალი ეკა მაღლაკელიძე იუწყებიან მზახლის

**სერგო ელიზბარის ძე კუტალიას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

„კოლხიდის" კოლმეურნეობის გამგეობა, ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან ომისა და შრომის ვეტერანის

**ვალერიანე თომას ძე როგავას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ინდექსი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ. № 52 ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილე [illegible] პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78 მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის [illegible]

საქ. ბეჭდვსახკომის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 52, ტელეფონი 2-23 07 — ტირაჟი [illegible] შეკ. №1317